

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ
საქმეთა კომისიის სხდომის

ოქმი N3

ქ. თელავი

2016 წლის 21 აპრილი

თავმჯდომარეობდა: გ. მამუკელაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ლ. მრელაშვილი, გ. აივაზაშვილი,
ტ. დარეჯანიშვილი, ვ. გალახვარიძე, გ. აზიკური, ა.
თუშიშვილი, გ. გორთამაშვილი, მ. გრემელაშვილი, მ.
ნაცვლიშვილი, ზ. რაიბული

ასევე ესწრებოდნენ: გამგეობის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა
განყოფილების უფროსი გოჩა ყურშიტაშვილი

გამგეობის კულტურის, ძეგლთა დაცვის, განათლების,
სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის
უფროსი - სოფიო ახმეტელი

“ა.ა.ი.პ. სასპორტო გაერთიანების ბუღალტერი - ლეილა
ომანაშვილი

ა.ა.ი.პ. თვითმმართველი თემი თელავის
მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების
უფროსი გიორგი კოჭლოშვილი

დღის წესრიგი:

1. თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის
შესრულების ანგარიშის შესახებ.

გიგა მამუკელაშვილი


მოხმინეს: 1. თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ.

გ. მამუკელაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო გამგეობის მიერ წარმოდგენილი პროექტი და აღნიშნა, რომ თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში საკრებულოში შემოვიდა დაგვიანებით და 2015 წლის ბიუჯეტის შესრულებას თან არ ერთვის აუდიტის დასკვნა.

აზრი გამოთქვას: გამგეობის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა განყოფილების უფროსმა გოჩა ყურშიტაშვილმა, გამგეობის კულტურის, ძეგლთა დაცვის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა - სოფიო ახმეტელმა, "ა.ა.ი.პ. სასპორტო გაერთიანების ბუღალტერმა - ლეილა ომანაშვილმა, ა.ა.ი.პ. თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორმა გიორგი კოჭლოშვილმა წარმოადგინეს მათ მიერ 2015 წელს გაწეული მუშაობის შესრულების ანგარიშები.

გ. მამუკელაშვილმა, ლ. მრელაშვილმა აღნიშნეს, რომ თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში სრულყოფილად არის წარმოდგენილი, მაგრამ კარგი იქნებოდა ანგარიშთან ერთად დამოუკიდებელი აუდიტის შემოწმების მასალები და დასკვნა ჰქონოდა თანდართული.

გადაწყვიტეს: თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში მისაღებია და კომისია მხარს დაუჭერს.

კომისიის თავმჯდომარე  გიგა მამუკელაშვილი